ციანური

2

ISSN 0132-6015

გამოცემის, 56-ე წელი, (№ 1540) · იანვარი 1979, ფასი 20 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ბ. ფალავანდიშვილისა

— შეჭამე, გენაცვალე, თორემ მილიცია მოვა და დაგიჭერს!
— მილიცია იმას იჭერს, ვინც ბევრს ჭამს!

ნახ. შ. აბაშიძისა

— აი, ვაჭაკაცები! ხურდის აღებას არ კადრულობენ!

ქიმთხუპნია უნდა ერქვას

ამას ვჩივი, ამას ვტირი:
პალტო ვერ გამიწმენდია,
რანაირიც ჩავაბარე,
მიღებულიც ისეთია.
კალთაზე თუ ჯიბეებთან
კვლავ ადრინდელს ვამჩნევ ლაქებს;
თანხა — როდი,
ხალხის მიმართ
გულგრილობა მალაქლაქებს.
თუ დამცინა,
ვინ დამცინა,
ან თუ მმართებს,
ვისი მმართებს?!
ფულს, გადახდილს წინდაწინა,
უკან ღმერთიც ვერ მოგართმევს!
კვლავ ლექსს ვიხმარ იარაღად, —
გამძლეობა უგავს ძელქვას:
მას ქიმწმენდა კი არა და,
ქიმთხუპნია უნდა ერქვას!

სისოული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტანისლავ ეჟი ლეცი

ფრაზები

● **ჯოჯოხეთში** ეშმაკი დადებითი პიროვნებაა.
● **გახსოვდეთ,** ადამიანს სხვა გზა არა აქვს — ადამიანი უნდა იყოს!
● **ყველაფერი** ადამიანის ხელშია. ამიტომ ხელები ხშირად უნდა დავიბანოთ!
● **პირველად** იყო სიტყვა, შემდეგ წარმოიშვა დუმილი.
● **არ** ვიცი, როგორ უნდა ვავარჯიშოთ მეხსიერება, რომ დავიწყება ვისწავლოთ.
● **ჯუჯას** დაბლა უნდა დავუკრათ თავი.

პოლონურიდან თარგმნა

ს. რ.

ქარხული ხალხური სიტყვიერების წიაღიდან არა ერთი და ორი მხატვრული ხახე გამოსულა, ხორცი შეუსხამს, ზღაპარ-ოგავებიდან ფეხი აუდგამს და საუკუნეებზე გაპოვლით წამოსულა ცხოვრების გზაწვრილებითა და შარაგზებით სახიარულოდ.

ერთი მათგანია ხურჯინიანი კაცი, რომელსაც ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში, სადაც არ ელოდები, იქ გადაეყრები.

„ლენინგორის რაიონის პირველი ვეტექიმი დ. კაჭახიძე არის სახელმწიფო ქონების გამფლანგველი, მიმთვისებელი...“

ეს გახლავთ პირველი აბზაცი ჟურნალ „ედაქციაში შემოსული წერილისა. შემდეგ კი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოსდევს ამ კაცის „დამსახურებათა“ გრძელი ნუსხა. ერთი დღის დაყოვნებაც კი არ გვაცალა ამ მკვეთრი სტილით დაწერილი საჩივრის ავტორმა. ახლა ტელეფონის ზარით გვამცნო თავისი ვინაობა და საქმეში დაუყოვნებლივ ჩარევა მოითხოვა.

და აი, ჩვენ ლენინგორში ვართ, პარტიის რაიონულ კომიტეტში, შემდეგ სოფლის მეურნეობის სამმართველოში, საფინანსო განყოფილებაში, პროკურატურაში, დაწვრილებით ვეცნობით მასალებს საჩივარში აღნიშნული პუნქტების მიხედვით. პირველ პუნქტად წერილში იხსენიება დიმიტრი ნიკოლოზის ძე კაჭახიძის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე № 3103. როგორც დოკუმენტური მასალებიდან ირკვევა, ლენინგორის რაიონის ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი სადგურის მთავარმა ვეტექიმმა დ. კაჭახიძემ 1964 წელს ყიზლარის საზამთრო ხაძოვრებზე ააშენა ცხვრის გასაბანი აუზი. მშენებელ ორგანიზაციად გაფორმა სოფელი უკანამხრის კოლმეურნეობა, მაგრამ თანხების ხარჯვის დოკუმენტები ერთი წლის განმავლობაში არ წარუდგენია სათანადო ორგანოებში, ამასთან ჰქონდა სხვა დარღვევებიც. მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ლენინგორის რაიონის პროკურატურაში შეწყვეტილ იქნა წარმოებით 1967 წლის 31 ნოემბრის ამნისტიის საფუძველზე.

შემდეგ საჩივარში ლაპარაკია 1972 წელს რაიფინგანის მიერ ჩატარებულ რევიზიაზე, რამაც გამოავლინა მთელი რიგი დარღვევები. ვეცნობით 1972 წლისა და 1973 წლის მარტში ჩატარებული რევიზიის მასალებს, რომელიც შემდეგ გადაამოწმა უფრო კომპეტენტურმა სარევიზიო კომისიამ 1973 წლის 28 ივნისს. ხაჭ. ხსრ ფინანსთა სამინისტროს უფროსი კონტროლიორ-რევიზორის მონაწილეობით.

დ. კაჭახიძის მიმართ ზოგიერთ ბრალდებებზე მასალები წარმოებაში ჰქონდა ლენინგორის რაიონის ყოფილ პროკურორს ი. უაველაშვილს, რომელმაც უარი თქვა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე. ეს გადაწყვეტილება გადასინჯულ იქნა ხაშურეთ ოსეთის საოლქო პროკურატურის მიერ და დატოვებულ იქნა უცვლელად.

დ. კაჭახიძისადმი წაყენებული შემდეგი ბრალდებანი 11 ათასი მანეთი 8-პროცენტიანი ანარიცხებიდან არამიზნობრივად გამოყენება და თანხის ნაწილის მითვისება, რაც ასევე არ დასტურდება ლენინგორის რაიონის პროკურატურის გამომძიებლის I კლასის იურისტის ი. ბურდულის მიერ მოკვლეული მასალებით

არ დადასტურდა საჩივარში აღნიშნული ფაქტები სოფლების დარგვისისა და უკანამხრის კოლმეურნეობებისაგან დ. კაჭახიძის მიერ კომბინირებული საკვების გამოძალვის შესახებ, მაგრამ ერთრბ არასახარბიელოდ გამოიყურება ირიბი მტკიცებანი მის უდანაშაულობაზე. განა როდის აქეთ იქცა საკოლმეურნეო ქონება ხესხება-ჩასვსხების საგნად?

„1977 წლის ივნისის თვეში სოფელ კორინთაში მცხოვრებ მიტო ჩიტიშვილის ოჯახში ნახეს დიდძალი მედიკამენტები სხვადასხვა ვეტლონისძიებების ჩასატარებლად. დაკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ აღნიშნული წამლები მოპარული იყო ყიზლარის ზამთრის საძოვრებიდან“, — ნათქვამია საჩივარში.

საქმეებში არსებული 1977 წლის 13 ივნისს შედგენილი აქტი გვაუწყებს, რომ მართლაც აღმოჩნდა ვეტმედიკამენტების ზედმეტობა, რომელთა ღირებულებამ 260 მანეთი და 35 კაპიკი შეადგინა.

ამ გარემოებას დ. კაჭახიძე იმით ხსნის, რომ მე-

ნახ. ზ. ფოლრჩხიძისა

— ნეტავი ვინ არიან?
— ნამდვილად არგონავტები იქნებიან, ალბათ: თუშური ყველის წაღებგა უნდათ!

ავს რომ ავი არ ვუწოდო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ძვირფასი წიგნების და
ჟურნალების ცოდვით ვკვდები,
რომ იძენენ ასავსებად
იმპორტული კარადების.

თვით ცხრა თვალი ოდის ბედიც
მიკიდია გულზე დარდად,
თუ შიგ არვინ არ ჭაჭანებს,
ხანში შესულ ცოლ-ქმრის გარდა.

შიგ რომ არ დგას ნაღდი ღვინო,
მებრალება ის ჭურები,
სხვის მაგივრად მრცხვენია და
ლამის ოფლში ვიწურები.

მეცოდება თემი, ოდეს
პირზე შიშის ადევს კლიტე,
ჰგუობს ხელმრუდ ხელმძღვანელებს —
სიმონს, ნიკოს, ბენედიქტეს.

...ავს რომ ავი არ ვუწოდო,
რა დავარქვა კარგს სახელად?..
კიცხვა — შემრცხვენს, ლაფის
დამსხმელს,
ქება — ვინაც გვასახელა!

ტაგუ მეგურიშვილი

დოკუმენტები შესყიდულ იქნა კოჩუბეის ვეტაფთიაქში ნაღდ ანგარიშზე და მიგვითითებს სოფლის მეურნეობის სამმართველოში არსებულ ზედდებულზე. ასეთი დოკუმენტი მართლაც აღმოჩნდა: გასავლის ფაქტურა № 819 გაცემული კოჩუბეის ვეტაფთიაქის მიერ 1975 წლის 25 ნოემბერს, მაგრამ ფაქტურაში სულ ჩამოთვლილია 111 მანეთისა და 27 კაპიკის მედიკამენტები.

დიახ, დარღვევები არის, მაგრამ ლენინგორის რაიონის პროკურატურის დადგენილებაში სწერია:

„არ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე გარემოებათა შეცვლის და იმის გამო, რომ თუმცა ფორმალურად მოიპოვება დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, მაგრამ დღეისათვის აღარ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას“.

დ. კაჭახიძეს აკმარეს ადმინისტრაციული სასჯელი, ლენინგორის რაისაბჭოს აღმასკომის მიერ მას გამოცხადებული აქვს სასტიკი საყვედური.

ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მხილება შედგა, მაგრამ ვინ არის მამხილებელი? აფერუმ მის ვაუკაცობას, თუ სახალხო დოვლათს ასე დაჰკანკალებს და მის ხელყოფას ღვიძლ ძმასაც კი არ აპატიებს! თავისი ვინაობა მას არ დაუმალავს: ზაურ ზაალის ძე კოზაევი გახლავთ.

აი, ერთი ფურცელი მისი ბიოგრაფიიდან:

„1978 წლის 24 მაისს შედგა აქტი 694 სული ცხვრის დაცემის შესახებ. აქტს პირველი ხელს აწერს ზ. ზ. კოზაევი (რომელიც არ იყო კომპეტენტური), ფერმის გამგეები და მომთაბარე ვეტუბნის გამგე ა. გაბრიელაშვილი. აქტის შემდგენი ლენინგორის რაისახდაზღვევის უფროსის მოადგილე ხ. მარგიევი აღნიშნავს, რომ იგი გამოძახებული იყო დეპეშით ზ. ზ. კოზაევის მიერ და მისი გადმოცემით და არა პირადად ნახვით — ლვშის გასინჯვით, აგრეთვე ზოგიერთი ფერმის გამგის სიტყვაზე დაყრდნობით შეადგინა აქტი უბრალო ქაღალდზე. აქტში აღნიშნულია, რომ იყო ძლიერი თქეშის, სეტყვის, ქარიშხლის სახით სტიქია. მეტეოცნობაში კი, რომელიც მათ ქ. გროზნოს აეროპორტიდან მოიტანეს, არ არის აღნიშნული არც სეტყვა და არც თქეში“. — ვკითხულობთ საქ. კპ ლენინგორის რაიკომისადმი მოხსენებით ბარათში რომელსაც ხელს აწერენ კომპეტენტური პირები.

ამ დროს ზ. კოზაევი სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი იყო. მას შემდეგ ბევრი რამ გადახდა, გარიცხეს პარტიიდან, გაახამართლეს, პატიმრობა მიუსაჯეს, სასჯელის მოხდის შემდეგ, როგორც სპეციალისტი, მაინც არ დაივიწყეს და 1977 წლის 1 მარტიდან სოფ. კორინთის ვეტუბნის გამგედ დანიშნეს, მან კი უბანი მხოლოდ იმავე წლის 11 ივლისს ჩაიბარა. 12 ივლისს მიატოვა რაიონი და წავიდა 19 ივლისამდე. 20 ივლისისათვის ითხოვა გათავისუფლება დედის ავადმყოფობის გამო. 19 ივლისს ვეტდაწესებულებების პროფკომიტეტის სხდომაზე დაისვა საკითხი ზ. კოზაევის თანამდებობრივი შეუფერებლობის შესახებ და ეთხოვა სოფლის მეურნეობის სამმართველოს დაკავებული თანამდებობიდან მისი გათავისუფლება.

ამჟამად იგი „მუშაობს“ საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში. როგორც თვითონ გვითხრა „სოფლის ორგანიზატორად“ და იქვე დასძინა, ოღონდ დღემდე ვერ გავრკვეულვარ, რა მევალება.

„კოზაევი 1948 წლიდან მაჩივის“, — წერს გამწარებული კაჭახიძე თავის ერთ-ერთ საპასუხო განცხადებაში. დიახ, სამი ათეული წელია გრძელდება ეს დაუნდობელი ორთაბრძოლა, იწერება საჩივრები, მოხსენებითი ბარათები, სათვალავი აღარა აქვს აქტებს, დგება ტომები მილიციაში, პროკურატურაში, სასამართლოში, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში.

ზ. კოზაევი უტევს, ყინიანობს, დ. კაჭახიძე თავს იცავს. ზ. კოზაევი ჩივის ყველა ინსტანციაში. მისი საჩივრებით დასაქმებული არიან საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის, სამხრეთ ოსეთის სოლქო კომიტეტის პარტიული მუშაკები, საბჭოთა და წამეურნეო ორგანოების სულ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. რაიონული დაწესებულებების ყველა რგოლი, მრავალხარისხოვანი კომისიები.

იწერება და იწვრება შავით თეთრზე თითქმის ერთი და იგივე, ცდება ზალხი, იფლანგება დრო, სამოვლინებო თანხები, ქაღალდი. დ. კაჭახიძეს უკვე დალატობს ნერვები, ზ. კოზაევს — არა. იგი მზადაა ახალ-ახალი შეტევებისათვის.

დიახ, სწორედ მის შემხედვარეს გაგვახსენდა კი არა, ცხადად დავინახეთ ის კაცი, ხურჯინგადაკიდებული რომ დადიოდა ცხოვრების გზაზე, სხვის ცოდვებს წინათვალში ჰყრიდა, მალიმალ დავხვდა, არ დამავიწყდესო, თავისებს კი უკან...

ასეთი ხურჯინიანი კაცი შორს ვერ წავა! შესვენება დასჭირდება ,ხურჯინს მხრიდან ჩამოიდგამს, ხელახლა წამოკიდებისას ერთხელ თუ არა, მეორედ მაინც შეეშლება, თავის ცოდვებს წინ მოიქცევს და მათი შემხედვარე შეცბება, უკან, თავის ყოფილ მეგობრებთან, დააპირებს დაბრუნებას, მაგრამ გვიანღა იქნება.

ელგუჯა მერაბიშვილი,
ვანო ცინცაძე

ნახ. მ. აბაზიძისა

— ბარემ თითრი ხალათი ჩაიცვი და ერთი ლუდიც დამისხი!

ᲬᲠᲐᲖᲔᲑᲘ

— დამთავრდა რევიზია?
— დიახ!
— რა თქვეს?
— მომავალი თვის ბოლოს კიდევ გამოვიღლითო!

* * *

— წელს ვეღარ მიგდივარ ბაკურიანში!
— გაშავება თუ გინდა, თბილისის აეროვაგზლის ცენტრალურ სალაროებთან „იკარუსებს“ ჩაუარე!

* * *

— რა უფრო გაგიჭირდათ, დისერტაციის დაცვა, თუ დისერტაციის გადახდა?
— დისერტაციის მომზადებისათვის უფრო მეტი შრომა დავხარჯე, სამაგიეროდ ხარისხითაც ბევრად უკეთესი გახლდათ.

ᲫᲐᲜᲘ ᲙᲘᲚᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ

ᲮᲔᲠᲮᲘ ᲡᲮᲝᲑᲘᲐ...

მანამდე, სანამ სამუშაოდ განვწყობოდი, უჯრიდან რობერტ მუზილის „სამი ქალი“ ამოვაცოცე და კითხვას შევუდექი. ისე, კაცმა რომ თქვას, ძალიან გულითაც რომ გინდოდეს სამსახურში მისვლისთანავე მუშაობის დაწყება, ვერც მოახერხებ: პირველ რიგში ყველაზე წყალი უნდა გამოუცვალო, მერე სამსახურში გამოცხადებული ყოველი პირისგან დილის ინფორმაცია მოისმინო იმის შესახებ, თუ როგორ ისაუზმა, როგორ გაუფუჭდა ტელეფონი და როგორ ვერ მოაპირა შეფისთვის დაერეკა რომ ამ დილასაც დააგვიანდებოდა, ან როგორ შემოახვია ტრანსპორტში ტანსაცმელი. მერე ახალი გაზეთები უნდა გადაათვალიერო, აუცილებლად უნდა მიიღო მონაწილეობა კამათში, ახალი ამერიკული ფილმი ჭკუიდან შესაშლელია თუ არა, ანდა აზრი აქვს თუ არა ახლა 300 მანეთად ჯინსის ყიდვას, როცა ეს უკანასკნელი ყველა მეორე კაცს აცვია. ცოტა ტელეფონითაც უნდა წაიმუშაო, ცოტა დრო კოსმეტიკას უნდა მოანდომო და ამასობაში უფროსის ზარი შეგახსენებს, რომ სამუშაოზე ხარ და საქმესაც უნდა მიხედო!

კითხვაში გართულს თავზე თავპირშეუღებავი მდივანი გოგონა დამადგა და უფროსისაკენ მიმანიშნა.

უფროსმა ის იყო ტელეფონით საუბარი დაამთავრა. მე საქმიანი ირეთი მაგიდის სიახლოვეს ჩამოვჯექი.

— დაუყოვნებლივ გამოიძახე მესამე კანტორიდან. ამხანაგი... — სანამ ჩემი უფროსი ჩემთან საუბარს დაამთავრებდა ისევ აწკრიალდა ტელეფონი. უფროსმა არცთუ ძალიან ნასიამოვნები სახით ყურმილს მოკიდა ხელი, ერთი წუთის შემდეგ კი სახეგაბადრული, ჩემგან ნახევრად ზურგშექცეული, საუბარში ჩაება. მე კედელზე გაკრულ აბსტრაქტულ სურათს მივაჩერდი და ნახაზებისა და ფერების გარჩევა დავიწყე.

— ...გამოიძახე და დაავალე, რაც შეიძლება დაჩქარეს!.. ტელეფონის ზარმა უფროსს აღარ აცალა აზრის დამთავრება. იგი უხერხულად შეიშმუშნა და ყურმილისკენ გადაიხარა.

მე უხმოდ წამოვდექი და ჩემს ოთახს მივაშურე.

ათი წუთის შემდეგ უფროსის კაბინეტში კვლავ აწკრიალდა ტელეფონის ზარი. ახლა უკვე მე ვურეკავდი ჩემი ოთახიდან. მან დალაგებით გადმომცა, თუ რა უნდა გამეკეთებინა.

ᲜᲐᲜᲐ ᲯᲐᲯᲐᲜᲐᲫᲘᲚᲘ

ᲔᲞᲘᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

ᲘᲡᲐᲥᲘᲛᲝᲜᲘ

ველარა თქვან,
თუ ესაქმობენი,
ოფლს ღვრიმი
ჭირს კაქრობენ,
რაკი გაბდნენ
ესაქმობიც,
მოსდებიათ
გულსა ქონი.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐᲠᲐ

მას არა აქვს
რაბან დარი,
მასბარაა,
ლოდად დაგდ...

ᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲝᲗ

რაც უნდა გეღაკვა ლარები,
ჩინეული, ანდა ვიტარა,
სულელმა სიბრძნის ეწკარები
ვინდ წაიკიბინის, ვინდ არა!

ᲘᲚᲘᲐ ᲐᲠᲜᲘᲫᲘᲐ

ᲒᲐᲜ-ᲛᲝᲓᲔᲠᲐᲚᲘ

თუ ვეფერებ,
ასკილ ᲛᲯᲝᲜᲘ ნამდვილ მწერლობას,
შენი ᲐᲠᲐᲤᲝᲠᲛᲘ
ამ ᲐᲠᲐᲤᲝᲠᲛᲘ ᲒᲠᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲒᲐᲠᲗᲘ
ᲛᲬᲔᲠᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ,
ᲝᲰ, ᲫᲐᲛᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲙᲔᲕᲝᲠᲘ
ᲨᲔᲜ ᲨᲔᲒᲠᲫᲔᲚᲘᲡ
ᲐᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲜᲘᲜᲔᲚᲘ
ᲒᲝᲠᲒᲝᲜᲐᲨᲘ!

ᲜᲘᲜᲝ ᲯᲐᲯᲐᲜᲐᲫᲔ

ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ

შეგეცინება უბლუფოდ,
ჩხეტიდე, ეამოქცევიწელიც.
ავტობუსს რომ საროსთან
ᲩᲕᲘᲜᲓᲔᲗ ᲓᲐᲛᲔᲠᲪᲮᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲘ ᲛᲣᲖᲘᲚᲘᲡ

ნახ. Ა. ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘᲡᲐ



— ᲝᲗᲮᲘ ᲝᲮᲠᲐᲮᲨᲘ, ᲝᲗᲮᲐᲗᲘ ᲘᲡᲙᲐᲜᲐᲮᲘ ᲓᲐ ᲝᲠᲛᲝᲗᲮᲘ ᲒᲘᲐᲚᲐ!

ᲛᲐᲜᲓᲘᲚᲝᲡᲐᲜᲘ, ᲗᲣ ᲯᲘᲜᲡᲘᲡᲛᲝᲜᲐᲜᲘ?

ᲯᲘᲜᲡᲘᲡᲛᲝᲜᲐᲜᲘ,
ᲒᲠᲐᲜᲓᲔᲚᲘᲡ ᲯᲘᲜᲡᲘᲡᲛᲝᲜᲐᲜᲘ,
ᲘᲛᲘᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲠᲘᲡᲛᲝᲜᲐᲜᲘ
ᲒᲐᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲧᲝᲜᲘᲗ
ᲝᲗᲮᲘᲗᲘᲡ... ᲑᲝᲚᲝᲡᲚᲐ...
ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ
ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲝ ᲡᲮᲕᲐᲕᲐᲠᲘ,
ᲯᲘᲜᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲝᲠᲘᲡᲔᲑᲝᲑᲓ
ᲠᲐᲓᲔᲜᲘᲜ ᲗᲐᲮᲘᲐ,
ᲕᲘᲜᲪᲔ ᲯᲘᲜᲡᲘᲡ ᲐᲠ ᲩᲐᲘᲪᲕᲐᲛᲓᲘ
ᲓᲦᲔᲡ ᲘᲡ ᲠᲐ ᲨᲘᲨᲘᲐᲡ..
ᲕᲘᲜᲪ ᲯᲘᲜᲡᲘᲡ ᲐᲠ ᲩᲐᲘᲪᲕᲐᲛᲓᲘ
ᲓᲦᲔᲡ ᲘᲡ ᲠᲐ ᲭᲐᲚᲐᲗᲐᲚ..
ᲓᲐ ᲐᲰᲐ, ᲨᲔᲜᲘᲡ ᲘᲪᲘᲗᲐᲛ
ᲩᲐᲜᲐᲪᲘ ᲯᲘᲜᲡᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔᲡᲐᲠᲔ,
ᲠᲝᲛ ᲨᲔᲒᲔᲓᲐ ᲐᲠᲝᲜᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ
ᲒᲝᲒᲝᲜᲓᲔᲡ ᲔᲗᲔᲖᲘᲗᲠᲐᲓ...
ᲐᲰᲐᲓᲐᲛ ᲛᲐᲩᲣᲗᲔᲑᲘᲗ
ᲨᲔᲣᲠᲩᲔᲚᲘ, ᲯᲘᲜᲡᲘᲐᲜᲘ,
ᲓᲐ ᲯᲐᲚᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲮᲔᲕᲔᲗ:
— ᲔᲒ ᲑᲘᲭᲘ ᲕᲘᲚᲘᲐᲜᲘ?!

ᲓᲘᲗᲘᲠ ᲡᲐᲛᲔᲑᲠᲐᲫᲔ-ᲯᲚᲐᲒᲐᲫᲔ

ᲓᲐᲮᲚᲘ

დახლი უბრალო ხის ბარიერი როდია, რომელზეც მხოლოდ სასწორი, ან სამრეწველო საქონელი იდება. სიტყვამ მოიტანა და საქონელი როგორ „იდება“ დახლზე, კარგად მოგეხსენებათ. სწორედ მასზეა ზედგამოჭრილი, „რაც ზევითაა, ორი იმდენი ქვევითააო“, ზუსტად უთქვამთ. მაგრამ ეს ვამოთქმა დახლის მხოლოდ ვერტიკალურ განზომილებას შეესაბამება. უფრო ზნეშენელოვან მიჯნას, დახლი ჰორიზონტალურ განზომილებაში წარმოადგენს, იმდენად მნიშვნელოვანს, რომ ლამის მთელი კაცობრიობა „დახლსაქეთელებად“ და „დახლსაქეთელებად“ დაყოფთ. ბევრჯერ მინახავს როგორ მაგიერ ზემოქმედებას ახდენს დახლი ადამიანებზე, იმისდა მიხედვით თუ დახლის რომელ მხარეს იმყოფება იგი.

თუ გაინტერესებთ, გამოართვით თქვენს მეუღლეს ხელჩანთა და ერთხელ თქვენც წადით ბაზარში მის მაგივრად. მოხვდებით თუ არა ბაზრის მოფუსფუსე მასაში, ვინც არ უნდა იყოთ თქვენ, რიგით „დახლსაქეთელად“ იქცევით და სხვებთან ერთად შეგიპყრობთ სპორტული ენი, რაც შეიძლება მარჯვედ გააწვდინოთ მარჯვენა ჯიბეში ჩადებული ფული მარცხენა ჯიბეში ჩადებულ საყიდლების სიას. ჰა დახლი და ჰა სანოვაგე! ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! მაგრამ „დახლსაქეთელებთან“ საეჭვრობა ძნელი საქმეა. ისინი ფიზიკურად კარგად არიან მომზადებულნი, ზუსტად „თამაშობენ ფასებით“. თქვენი ცალკეული „შეტევები“ დახლის მისადგომებთან იფშება.

გუშინდელი, რიგითი „დახლსაქეთელი“, მოხვდება თუ არა ნებისმიერი დახლის იქით, საოცრად სწრაფად „შედის ფორმაში“.

„სად არის ძაღლის თავი დამარხული?“ — იკითხავთ თქვენ.

დახლის ქვეშ!

საკმარისია, ესტეტმოთთ თქვენს კვარტალში ახალგახსნილ უნივერსამს, რომ უმალ დარწმუნდებით ზემოთქმულის „წყალგაუმტარობაში“: იქ თქვენ ვერ ნახავთ ვერაკითარ მიჯნას, რომლის იქითაც ეშვიან მზერას გაამპარებთ, ან თქვენ შემოგხედავენ იქიდან მოვალესავით. ინებეთ, აირჩიეთ, ალარც დახლი, ალარც მისი იქითარ-აქეთური! თუ თქვენი მოსწონნი ვერაფერი ნახეთ, თქვენს ნერვებს მაინც არავინ ჩამოაკრავს ულიმო მუსიკოსივით! ასე რომ, ტაქტიკა წინ მიდის და ვინ იცის, იქნებ უდახლო და უგამყიდველო მაღაზიებთან ერთად უსაწყობო მაღაზიებიც ვიხილოთ!

ᲯᲐᲜ. ᲓᲔᲘᲜᲐᲫᲔ

ნახ. მ. ᲛᲔᲯᲔᲚᲘᲫᲔᲘᲚᲘᲡ.



ᲣᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ

ᲣᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ

ნახ. Ი. ᲧᲔᲘᲜᲐᲫᲔᲘᲚᲘᲡᲐ



ᲣᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ



ᲣᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ

ნახ. რ. ᲯᲐᲨᲘᲡᲐ

ᲣᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ

პერპეტუუმ მობილე

მითხრეს თუ არა, ის ახალაშენებული სახლი რომელშიც ბინის ორდერი მქონდა, სახელმწიფო კომისიამ მიიღოო, იმ წამსვე გავქანდი ჩემი ოთახების დასათვალიერებლად.

თვალმა გაიხარა გაპრიალებული პარკეტის, მშვიდი ფერის კედლების კომფორტაბელური სამზარეულოსა და ელექტროქურის ცქერით. ჰაი, თქვენ, ამშენებლებო! ვიყვირე თუარა, ვიღაცა უცნობი დამადგა თავზე და მკითხა:

— ეს ბინა თქვენია?

— დიახ! — ვუპასუხე მე.

— კეთილი იყოს ჩემი ფეხი!.. იცით, მე ამ შენობის ყოფილი სამუშაოს მწარმოებელი ვარ...

—გილოცავთ ნახელავს! — გადავეხვიე მე.

— თუ კაცი ხარ, დამეხმარეთ! თქვენი სამზარეულოს ლინოლეუმი მათხოვეთ, გვერდზე შენობას ვაბარებთ, კომისია უამისოდ კორპუსს არ იბარებს... ცუდად მაქვს საქმე! — შემომჩივლა სამუშაოს მწარმოებელმა.

ახლა, ამ უბრალო ლინოლეუმის გულისთვის თუ კაცს დავაჭერინებ, მართლა, ადამიანი არა ვყოფილვარ და ლინოლეუმი გავუბოძე. კარი არ მქონდა დახურული, რომ მისაღებში ვიღაც სანტექნიკოსი შემომივარდა:

—გვერდზე ბინას ვაბარებთ, უნიტაზის ბაჩოკი მათხოვეთ! კომისია ხელს არ აწერს... მაგათი ამბავი რომ ვიცი, შეიძლება ჩამსვან კიდეც... ცოლ-შვილი უმწეოდ მრჩება!

— მერე მე რით ჩავრეცხო უნიტაზი?

— აგერ, ვედროთი, აი, ასე! — და სანტექნიკოსმა ჩარეცხვის მთლიანი ტექნოლოგიური პროცესი მაჩვენა.

ჰოდა, ჰო! იმ რაღაც „ბაჩოკისათვის“ კაცს ხომ არ გავწირავდი და ჩემი უნიტაზის მეორე ნახევარი გავათხოვე.

ვედროთი ჩარეცხვაში ვვარჯიშობდი, რომ ჩემი ბინის კარზე ადამის ძის ვედრება და მუშტების ბრაგაბრუგი გაისმა:

— მიშველეთ, ობეხეესი მომდევს! გვერდზე ახალაშენებულ ბინაში ონკანები დაგვაკლდა! თქვენი აბანოდან მომიხსენით, ცხელი წყალი მაინც არ მოგდით...

იმ ადამის ძემ არც კი მაცალა მოფიქრება, ისე გამიკეთა ონკანების ექსპროპრიაცია. გასვლისას სტანდარტით გათლილი პალო მომაწოდა და ხმარების ინსტრუქცია მასწავლა.

მე ყოველ შემთხვევისათვის ავითვისე, ხალხნი ვართ, შეიძლება ცხელი წყალი მოვარდნილიყო.

სანამ მე მილში პალოს გარჭმით ვიყავი გართული, ჩემთვის უცნობებს ჩემი ოთახებიდან კარ-ფანჯრები ჩამოეხსნათ და გვერდზე, მისაღებ კორპუსში მიაცუხცუხებდნენ. ჩემი ბინიდან გამოვედი, სხვისი ოთახები დავიარე... ზოგან ნიჟარა აკლდა, ზოგან — უნიტაზი, ერთგან პარკეტიც კი აეყარათ...

მე გავიქეცი მისაღები კორპუსისაკენ... შევვარდი იმ ოთახში, სადაც სახელმწიფო კომისიის წევრები მშენებლობის ხარისხს ამოწმებდნენ. მათ შორის ვიცანი ჩვენი აღმასკომის წარმომადგენელი და ხვეწნა-მუდარით ფეხებში ჩავუვარდი.

— იმ სახლში არ მინდა ცხოვრება, აქ მინდა, აქ კომფორტია, ცოცხალი თავით არ გავალ!..

კომისიის წევრებმა ერთმანეთს გადახედეს, ითათბირეს და ჩემს მიერ არჩეულ ბინაში შემასახლეს. რა თქმა უნდა, „ძველი“ ბინის ორდერი დავუბრუნე. აბა, ვის რათ უნდა ფარღალალა ოთახები?!

როგორც კი მიმღებმა კომისიამ დატოვა ჩემი ბინა, უმალ გაიხსნა ჩემი ოთახის კარი და აღაღადდა ნაცნობი ხმები: „გვათხოვეთ ლინოლეუმი!“, „გვასესხეთ უნიტაზი“, „ჰე, ბიჭო, ონკანები!“, „ვედროთი ჩარეცხეთ!“, „კარის მაგიერ ფარდა ჩამოაფარეთ!..“

მე კვლავ მიმღებ კომისიას დავედევნე, მაინტერესებდა, მშენებლები სად დაამთავრებდნენ ამ იერიშობანას. ანაზდად ყურში იდუმალი ხმა ჩამესმა: ამგვარ იერიშობანას საინჟინრო ენით პერპეტუუმ მობილე ჰქვია, ანუ მუდმივმოქმედი მანქანა, რომელიც გამოგონილია ზოგიერთი „სმუ“-საგან.

ავთანდილ ადისეი

ნახ. ნ. ძელეხსაშვილისა



უსიტყვოდ



უსიტყვოდ

უსიტყვოდ

იაპონური სიბრძნე

● **კბილი** მაგარია, მაგრამ იღუპება, ენა რბილია და მაინც დიდხანს ცოცხლობს.

● **პირი** და საფულე, სჯობს, დამუწული იქონიო.

● **კალამი** ძლიერია მახვილზე.

● **მართალი** სიტყვები ულამაზოა, ლამაზი სიტყვები — ყალბი.

● **ახალგაზრდა** მღვდლის ქადაგება ყოველთვის გრძელია.

● **ზარმაცი** მუშაობას უქმე დღეს მოინდომებს.

● **ვინც** ყოველთვის თავის საუკეთესო ტანსაცმელს იცვამს, მას არასოდეს არ გააჩნია სადღესასწაულო სამოსი.

● **მწერალი** მწერალს არ ცნობს.

● **ვინც** წარსულს სწავლობს, მან იცის აწმყო.

● **თაღლითი** მკურნალის აფთიაქი მუდამ ლამაზად გამოიყურება.

● **წვრილია** მაგრამ მუხაა.

სტანისლავ რავიჩი

ნახ. დ. თოთიბაძისა



უსიტყვოდ

93
6-11

ამენებამ დაანგრია

მცხეთაში ამ სამიოდე წლის წინ რკინიგზის სადგურთან დილაადრიან მოგრიალდნენ ოცტონიანი მანქანები, ბულდოზერები, ექსკავატორები და გუგუნ-გრიალი ატეხეს. მოწინავე „კრაზიდან“ ღიმილით პირგაბადრული მამაკაცი გადმოვიდა შეკრებილ მოქალაქეებს მედიდურად გადახედა და თქვა:

— აღსრულდა თქვენი ოცნება, მცხეთელებო, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სამშენებლო უბანი მეორე ლიანდაგის გაყვანას იწყებს და თქვენ იცით ახლა და თქვენმა მარიფათმა.

— ეს ოცტონიანი მანქანები ჩვენს გზაზე ივლიან, უფროსო?

— მაშ, როგორ! გვირაბიდან გამოტანილ მიწას იესო ნაზარეთელივით ზეცაში ხომ ვერ გავაქრობთ. გატანა არ უნდა?!

— აბა, დანგრეულა რუსთაველისა და წერეთლის ქუჩები და ეგ არის. ამ სიმძიმეს ჩვენს გზებზე კარაქივით წასმული ასფალტი გაუძლებს?

— დაინგრევა და ავაშენებთ, მშენებლები ვართ, დამნგრევნი კი არა.

და დაიწყო მას შემდეგ ბაგინეთის უბანში ერთის აშენება და მეორის დანგრევა. სულ მალე ქუჩა მძიმე არტილერიის მიერ გადათხრილ სანგარს დაემსგავსა და იქ გავლა ოჩოფეხების დაუხმარებლად შეუძლებელი გახდა.

— იმ წუმპეში, გუშინწინ მარცხენა ფეხიდან გამძვრალი ჩექმა რომ ჩაგრჩა, ვერ იპოვე, ისიდორე?

— რას იპოვი, ჩემო ლუკა, იმ სიღრმე ორმოში, ხელის სიგრძე რომ არ მეყო, კაკლის საბერტყი ხალა წავიღე, საღამომდე ვურიე ფელამუშის ციცხვივით, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, იმის ასავალ-დასავალს ვერ მივაგენი.

— შენ კიდევ კარგად გადარჩი. იმ ადგილზე გუშინ ტურბაზაში ჩამოსული ტურისტი ჩავარდა, ისე იყო ამოგანგლული, იმის ცოდვით დავიწვი კაცი, ენას ძლივს ატრიალებდა. რკინიგზის სადგურში შევიყვანეთ აკანკალებული და, ცოტა რომ შეთბა, მაშინღა აცმაცუნა ტუჩები: „ბელორუსიაში ბევრი ჭაობი მინახავს, მაგრამ ამისთანა წებოიანი არ შემხვედრია არსადო“. მამლის ჰირველ ყივილამდე წკიპურტებით ვასუფთავებდით საცოდავს!

ვინ მოთვლის, რამდენი უსტარი გაუგზავნეს ბაგინეთის უბნის მცხოვრებლებმა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელებს: „გვიშველეთ, შავი ასფალტის მაგიერ შავ ტალახსა ვზილავთო“, მაგრამ ვინ აქცევს ყურადღებას!

ახლა ზამთრის ყინვამ იქნებ შეუკრას პირი პირდაღებულ ორმოებს და საციგურაო ადგილებად აქციოს, მაგრამ მცხეთის მაღაზიებში ციგურების ჭაჭანება არ არის და იქნება ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ იზრუნოს მისი შემოტანისათვის.

ვ. მამუკელაშვილი

ნახ. ფ. თოთიგაძისა

— ეკლესიის დარაჯმა შემოგითვალათ, ფერისა და ხატვის ჭინი რომ აგიტანთ, ეს ქაღალდები გამოიყენეთო!

ჯერ კიდევ ხშირია ფაქტები, როცა მშენებლობათა და საწარმოთა მუშაკებს არ უზრუნველყოფენ ცხელი კერძებით, აკლიათ სასადილოები და ბუფეტები. საშუალოდ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში, მაგალითად, სასადილოებით უზრუნველყოფილია მუშაკთა მხოლოდ 18 პროცენტი.

გაზეთი „ბრძოლა“

ნახ. გ. ლომეიძისა

უსიტყვოდ

სიგნალების შემდეგ!

* * *

...**ზარმაცაძესა** და **ქეიფიშვილს** საზოგადოებრივი სასარგებლო შრომის გაგონებაც არ სურთ. მათ რესპუბლიკის გარეთ „დიდი ფულის“ საშოვნელად გაქცეთ მეურნეობიდან არაპატიოსანი გზით მითვისებული ხილი და იქ მამასისხლად ჰყიდიან. აქტიურად აფათურებენ ხელს სახელმწიფოს ჯიბეში, ექსპლოატაციას უწევენ მეურნეობას, ტრანსპორტს, ახდენენ ავარიებს, ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, სისტემატურად აწყობენ დებოშებს, არ ერიდებიან ყოველგვარ ბნელ მაქინაციებსა და საქმიანობას.

სათანადო ორგანოებმა იმსჯელეს ამ უქნარა და ცუღლუტ ამხანაგებზე. ზარმაცაძესა და ქეიფიშვილს მიეთითათ.

* * *

... **შრომას** „თაკილობს“ საყოველთაოდ ცნობილი უქნარა ეშმაკაშვილი. სამაგიეროდ იგი ერთობ გაწაფული და გაქნილია სპეკულაციაში, გამოძალვაში, კოლმეურნეთა მოტყუებაში, გადამყიდველობაში, ფულის დაცინცვლაში, ქურდობაში, ხულიგნობაში, ლოთობაში, არამზადობაში.

სათანადო ორგანოებმა იმსჯელეს ამხ. ეშმაკაშვილზე. საქმიანობით დაუინტერესებლობისათვის ამხ. ეშმაკაშვილს მიეთითა.

* * *

...**მთელ** რიგ მეურნეობებში წელს კარგად მოუარეს ბოსტნეულს და მოსავალიც უხვად ხილეს. მაგრამ ამხ. ქინძიაშვილის, ჭარხალაძის, პიტნავასა და კომბოსტოვის დაუდევრობით მოსავალი ადგილზევე ფუჭდება, მიმღებ პუნქტებში დიდი რაოდენობითაა დამპალი კომბოსტო, კეჟერა ფხალი, წიწმატი, ბოლოკი, ქინძი, ოხრახში, ათობით ტონა უკვე წყალშია გადასაყრელი (ისე, ჯობდა ბორშჩში ჩაეყარათ...). გადმოუტვირთავია ვაგონები, მთელი თვეობით დგას სანამ ბოსტნეული არ დალპება და ხუნი არ აუვა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ხარისხის დამდგენელმა ინსპექტორმა უხარისხოძემ მთელი კვირით დაიგვიანა. წესით კი ვაგონი 6 საათში უნდა დაეცალათ. ახლა იმ კომბოსტოს პატიოსანი კურდღელიც არ შეჭამს.

სათანადო ორგანოებმა იმსჯელეს ამ საკითხზე და ამხანაგებს მიეთითათ.

„ნიანგი“ იმედს გამოთქვამს, რომ უქნარების წინააღმდეგ მთელი საზოგადოებრიობა აღიმაღლებს ხმას. ადმინისტრაციული ორგანოები კი უფრო ხშირ-ხშირად... მიუთითებენ!

76137

ბანქოს სახლი

მთავარი რედაქტორი ზურაბ გემაზაშვილი სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომბიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიშნიანიძე, ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე ● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 25/XII-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/I-79 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 3481 უე 00619 ტირ. 158.350 Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თომების ავტორები: ზ. ბაშიძე, ა. ადეიშვილი, ბ. ქელეხსაშვილი, ფ. თოთიბაძე, ბ. ზუბლიშვილი, ი. ყენანაშვილი, ო. ჩერაბიშვილი, გ. ლომბიძე.